პრესრელიზი

მსოფლიო ბანკი აქვეყნებს ქვეყნის ეკონომიკურ მემორანდუმს კონკურენტუნარიანი, ინტეგრირებული და ძლიერი საქართველოსთვის

თბილისი, 6 დეკემბერი, 2022 - მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის მომზადებული ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმის თანახმად, ქვეყნის ეკონომიკის ჯანსაღი მართვა და ხელსაყრელი სამეწარმეო გარემო ხელს უწყობს ეკონომიკურ საქმიანობას, მაგრამ მშპ-ის ზრდის 4-4.5 პროცენტის ფარგლებში შესანარჩუნებლად საჭირო იქნება შემდგომი რეფორმები. ანგარიში, სახელწოდებით - *„მომავლის პროექცია კონკურენტუნარიანი, ინტეგრირებული და ძლიერი საქართველოსთვის“,* დღეს იქნა წარდგენილი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ ერთობლივად ორგანიზებულ ღონისძიებაზე.

ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი ასახავს საქართველოს მიღწევებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში და ასევე რეკომენდაციებს დარგობრივი პოლიტიკის მიმართულებით, რათა ქვეყანამ შესძლოს წარმატების მიღწევა მომდევნო ათწლეულის განმავლობაშიც. კერძოდ, ანგარიში აღწერს მცირე, მაგრამ ღია და მდგრადი ეკონომიკის ისტორიას, რომელმაც მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა მშპ-ის ზრდისა და სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით, თუმცა მაინც შეზღუდულია პროგრესი პროდუქტიულობის ამაღლებისა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით.

ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმის რეკომენდაციაა, რომ ქვეყანამ მაქსიმალურად გაზარდოს თავისი პოტენციალი (i) მიმდინარე სტრუქტურული და სივრცითი გარდაქმნის ხელშეწყობით; ii) პროდუქტიულობის ამაღლებით დარგების და ფირმების დონეზე; iii) კავშირების და საგარეო ვაჭრობის გაფართოებით; და iv) ადამიანური რესურსების განვითარებით და უკეთ გამოყენებით.

გაურკვევლობით და გამოწვევებით სავსე გარემოს პირობებში, ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი ხაზს უსვამს COVID-პანდემიამდე არსებული ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მნიშვნელობას, რაც შექმნის უკეთესი ანაზღაურების მქონე სამუშაო ადგილებზე წვდომის შესაძლებლობას.

„საქართველომ წარმატებული ეკონომიკური ზრდა განიცადა გასული ათი წლის განმავლობაში, თუმცა ქვეყანა ამით არ უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა გააგრძელოს თავისი ეკონომიკის მოდერნიზება და რეფორმირება კიდევ ერთი წარმატებული ათწლეულის უზრუნველსაყოფად“, - აღნიშნა **მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა.** მისივე თქმით: *„მეტი შესაძლებლობების, კავშირებისა და უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე ქვეყანა უკეთ შეძლებს ორიენტაციას ეკონომიკური ვარდნის გლობალური ტენდენციების, მზარდი ვალის, ღირებულების გლობალური ჯაჭვების გამოწვევების, თანამედროვე ტექნოლოგიების და კლიმატის ცვლილების პირობებში, რომელთაგან თითოეული შეიძლება რისკს უქმნიდეს ეკონომიკურ ზრდას, ან სწორად მართვის შემთხვევაში, გვთავაზობდეს პოტენციურ შესაძლებლობებს.“*

„უკანასკნელ წლებში საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ეკონომიკური მდგრადობის, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის, ეკონომიკის სტრუქტურული გაუმჯობესების და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავების მიმართულებით. ჩვენ ვაპირებთ გამოვიყენოთ აღნიშნული წარმატება და გავაძლიეროთ ძალისხმევა

პროდუქტიულობის ამაღლებისთვის საჭირო რეფორმების განსახორციელებლად, კავშირების გასაუმჯობესებლად, საქართველოს ინტეგრაციის გასაზრდელად ღირებულების გლობალურ ჯაჭვებში, ადამიანური კაპიტალის გასავითარებლად და დიგიტალიზაციისა და ინოვაციებისთვის ახალი შესაძლებლობების აღმოსაჩენად“, - განაცხადა **საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.**

ანგარიში მიუთითებს, რომ საქართველოში სტრუქტურული და სივრცითი გარდაქმნა მიმდინარეობს, თუმცა დასაქმების დაახლოებით ერთი მეხუთედი ისევ სოფლის მეურნეობაზე მოდის. სოფლის მეურნეობაში და ეკონომიკის სხვა დარგებში დასაქმებულ პირთა გამომუშავებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურული გარდაქმნის პოტენციალი ჯერ ამოწურული არ არის. სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, დინამიურობის გაძლიერებას ქალაქებში და თბილისის უკეთესად მომზადებას მდგრადი და ინკლუზიური ზრდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება გარდაქმნის დასაჩქარებლად.

„მომავალში ეკონომიკური ზრდა საქართველოში სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული კომპანიების პროდუქტიოულობის მატებასა და გარე ბაზრებზე არსებული შესაძლებლობების გამოყენების უნარზე. ამასთან ერთად, გაცილებით აქტიურ და მაღალკვალიფიციურ მუშახელს შეუძლია არსებული დემოგრაფიული ტენდენციების კომპენსირება და პროდუქტიულობის ამაღლება“, - აღნიშნა **მსოფლიო ბანკის უფროსმა ეკონომისტმა ევგენი ნაჟდოვმა.**

დოკუმენტი მიმოიხილავს ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ რამდენიმე დაბრკოლებას, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს პროდუქტიულობაზე, მათ შორის, დაფინანსებასთან წვდომაზე, ჩრდილოვანი ეკონომიკისწილზე, კონკურენციაზე, ისევე როგორც ფირმების შესაძლებლობებზე, როგორებიცაა, მაგალითად, მართვის უნარები და ინოვაცია. ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი ხაზს უსვამს, რომ ქართული ფირმები უნდა გახდნენ უფრო მეტად ექსპორტზე ორიენტირებულნი და ყურადღებას ამახვილებდნენ უკეთესი კავშირების დამყარებაზე.

ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმის რეკომენდაციაა დანაზოგების ზრდა ინვესტიციების მაღალი მაჩვენებლების აღსადგენად ვალის ზრდის გარეშე. აღნიშნულის მიღწევა შეიძლება გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელებით, კორპორაციული მართვის გაძლიერებით და სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის ზრდით, შინამეურნეობების ფინანსური წიგნიერების ამაღლებით, განსაკუთრებით, განათლებასთან და ჯანდაცვასთან დაკავშირებული გრძელვადიანი გადაწყვეტილებების თვალსაზრისით.

და ბოლოს, ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი ყურადღებას ამახვილებს უნარებზე და შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებზე და მიუთითებს - i) შექმნილ სამუშაო ადგილებსა და შრომითი რესურსების განათლების პროფილს შორის შეუსაბამობაზე; ii) უნარ-ჩვევების დეფიციტზე, რაც მომდინარეობს სწავლების სუსტი პრაქტიკიდან და დამსაქმებლებთან არსებული სუსტი კავშირებიდან; და iii) შრომის ბაზრის არასაკმარისად განვითარებულ ინსტიტუტებზე, რომლებიც ზღუდავს ინფორმაციასთან წვდომას და დასაქმების სერვისების შეთავაზებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ მიჰყევით ბმულს: http://www.worldbank.org/ge
შემოგვიერთდით Facebook -ზე: https://www.facebook.com/WorldBankGeorgia
***საკონტაქტო პირები:** თბილისში: ირმა გეგეჭკორი, igegechkori@worldbank.org*
ვაშინგტონში: ქრისტოფერ უოლში, cwalsh@worldbankgroup.org